საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 02-06/411

ქ. ბათუმი 8- სექტემბერი, 2017 წ.

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23–ე, 24-ე მუხლების, ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის რეორგანიზაციის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N5 გადაწყვეტილების და ,,ბსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 6 სექტემბრის N02-01/6 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობა დანართი 1-ის შესაბამისად.
2. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია 2017 წლის 11 სექტემბრიდან.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**

დანართი 1

„დამტკიცებულია“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2017 წლის --- სექტემბრის N--- ბრძანებით

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობა

1. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის პერსონალის (გარდა სამსახურის უფროსისა) სამუშაოთა აღწერილობა განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის (შემდეგში „სამსახური“) დებულებითა და ბსუ-ს საშტატო განრიგის შესაბამისად.

2. სამსახურის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების პერსონალის ფუნქციებია:

2.1. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის **განყოფილების უფროსი** ხელმძღვანელობს სამსახურის შემდეგი ფუნქციების შესრულებას:

ა) სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე სასწავლო პროცესთან და სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურება;
ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათი ინტეგრირების მიზნით და შესაბამისი წინადადებების უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენა;
გ) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციის ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელების ხელშეწყობა (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური/სამეცნიერო/შემეცნებითი ხასიათის და საქველმოქმედო სახის შემოქმედებითი სტუდენტური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება);
დ) უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტური სერვისების (მათ შორის ახალი სერვისის ამოქმედების შესაძლებლობის), ასევე საგანმანთლებლო სფეროში მიმდინარე კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიება და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ვებგვერდზე და ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილებზე განთავსება/გაცნობა);
ე) სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, მათი ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, მათი სასწავლო პროცესთან დაახლოებისა და სამომავლოდ, საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
ვ) სტუდენტთა დახმარება განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში;

ზ) შრომის ბაზრისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან (სახელმწიფო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;

თ) საუნივერსიტეტო აქტივობების (სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობის, სტუდენტური გაერთიანებების/ჯგუფების ინიციატივების და სხვა) განხორციელების მხარდაჭერა, ამ მიზნით სხვადასხვა პროექტების მომზადება-განხორციელების ხელშეწყობა;

2.2. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი:

ა) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ვალდებულია რაციონალურად გაანაწილოს შესასრულებელი სამუშაო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული წინამდებარე სამუშაოთა აღწერილობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად და გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი;

ბ) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წინადადებებს და წარუდგენს სამსახურის უფროსს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვიზით ადასტურებს/ითანხმებს განყოფილების ან/და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციის პროექტებს;

დ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია განყოფილების ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ე) წარადგენს საქმიანობის ანგარიშს ყოველ 6 თვეში ერთხელ და რექტორისა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და სამსახურის უფროსის დავალებით ნებისმიერ დროს;

ვ) ახორციელებს სამსახურის დებულებით, წინამდებარე სამუშაოთა აღწერილობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და სამსახურის უფროსის დავალებებს, განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში.

2.3. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტი:

ა) ეწევა სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესთან და სტუდენტური სერვისების მიღებასთან დაკავშირებით;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, განყოფილების უფროსს წარუდგენს წინადადებებს უცხოელი სტუდენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრირების ხელშეწყობისათვის;

გ) ჩართულია უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციის ღონისძიებების ორგანიზება-დაგეგმვის პროცესში, კოორდინაციას უწევს ამ მიმართულებით (მათ შორის სამეცნიერო წრეების აქტივობების) უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში განსათავსებელი ინფორმაციის მომზადებას და დადგენილი წესის შესაბამისად განთავსებას;

დ) მოიძიებს უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტური სერვისების, ასევე საგანმანთლებლო სფეროში მიმდინარე კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციას უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომობის

უზრუნველსაყოფად (ვებგვერდზე და ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილებზე განთავსება/გაცნობა);
ე) ამზადებს წინადადებებს სხვადასხვა სოციალური პროექტების შესახებ და ხელს უწყობს ამ პროექტების და სტუდენტების სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობების განხორციელებას;
ვ) ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ფუნქციონირებას (გაწევრიანება, მუშაობის დაგეგმვა-განხორციელება ამორიცხვა);
ზ) ასრულებს უნივერსიტეტის აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს და სამსახურის უფროსისა და განყოფილების უფროსის სხვა დავალებებს.

2.4. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი :

ა) ეწევა სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესთან და სტუდენტური სერვისების მიღებასთან დაკავშირებით;
ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, განყოფილების უფროსს წარუდგენს წინადადებებს უცხოელი სტუდენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრირების ხელშეწყობისათვის;
გ) მოიძიებს ინფორმაციას დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის, მათი სასწავლო პროცესთან დაახლოებისა და საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
დ) მონაწილეობს ბსუ-ს სტუდენტთა დასაქმების და სტუდენტების სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობების განხორციელების ხელშეწყობის ღონისძიებებში;
ე) ასრულებს უნივერსიტეტის აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს და სამსახურის უფროსისა და განყოფილების უფროსის დავალებებს.

3. სამსახურის კულტურისა და სპორტის განყოფილების პერსონალის ფუნქციებია:
3.1. კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი ხელმძღვანელობს სამსახურის შემდეგი ფუნქციების შესრულებას:
ა) კულტურისა და სპორტის მიმართულებით სტუდენტური სერვისების მიღებასთან დაკავშირებით სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება;

ბ) უნივერსიტეტის კულტურული და სპორტული საქმიანობის პოპულარიზაცია, ორგანიზება და განხორციელების ხელშეწყობა (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური/სამეცნიერო/შემეცნებითი ხასიათის და საქველმოქმედო სახის შემოქმედებითი სტუდენტური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
გ) საუნივერსიტეტო სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების შექმნის შესახებ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა, მათი რეალიზაციის ხელშეწყობა და ამ მხრივ საქმიანობის კოორდინაცია;
დ) საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების/უნივერსიადების ორგანიზება, ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, უნივერსიტეტის სახელით რეგიონალურ და რესპუბლიკურ უნივერსიადებში და სტუდენტურ დღეებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა/ხელშეწყობა;

ე) უნივერსიტეტის სტუდენტების ჰარმონიული განვითარებისა და სახელოვნებო სივრცეში მათი მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება და უნივერსიტეტის სტუდენტების შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნვა, მათი ნიჭისა და სურვილის შესაბამისად;

3.2. სამსახურის კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი:

ა) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ვალდებულია რაციონალურად გაანაწილოს შესასრულებელი სამუშაო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული წინამდებარე სამუშაოთა აღწერილობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად და გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი;

ბ) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წინადადებებს და წარუდგენს სამსახურის უფროსს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვიზით ადასტურებს/ითანხმებს განყოფილების ან უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციის პროექტებს;

დ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია განყოფილების ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ე) წარადგენს საქმიანობის ანგარიშს ყოველ 6 თვეში ერთხელ და რექტორისა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და სამსახურის უფროსის დავალებით ნებისმიერ დროს;

ვ) ახორციელებს სამსახურის დებულებით, წინამდებარე სამუშაოთა აღწერილობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და ასრულებს სამსახურის უფროსის დავალებებს, განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში.

3.3. კულტურისა და სპორტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი:

ა) სტუდენტური სერვისების (შემოქმედებით/კულტურულ/მუსიკალურ/სპორტულ გუნდებში/ჯგუფებში გაწევრიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის) მიღებასთან დაკავშირებით ეწევა სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას;

ბ) მონაწილეობს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის პროცესში, განყოფილების უფროსს წარუდგენს წინადადებებს უცხოელი სტუდენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრირების ხელშეწყობისათვის;

გ) ახდენს კულტურის/სპორტის სფეროში უნივერსიტეტის საქმიანობის პოპულარიზაციას, მონაწილეობს საორგანიზაციო და განხორციელების ხელშემწყობ ღონისძიებებში (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური/სამეცნიერო/შემეცნებითი და საქველმოქმედო სახის შემოქმედებითი, ასევე სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება);

დ) მხარს უჭერს საუნივერსიტეტო სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების შექმნის შესახებ სტუდენტთა ინიციატივებს, შეიმუშავებს ახალ წინადადებებს, ხელს უწყობს მათ რეალიზაციას და ახდენს ამ მხრივ სტუდენტთა საუნივერსიტეტო საქმიანობის კოორდინაციას (ბსუ-ს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში განსათავსებელი ინფორმაციის მომზადება და დადგენილი

წესის შესაბამისად წარდგენა/შეთანხმება, საქმიანობის ანგარიშების მომზადება და სხვა);

ე) მონაწილეობს შემოქმედებითი უნარის მქონე ან სპორტით დაინტერესებული ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენის პროცესში, ახდენს უნივერსიტეტის სახელით რეგიონალურ და რესპუბლიკურ უნივერსიადებში და სტუდენტურ დღეებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერას/ხელშეწყობას;

ვ) უნივერსიტეტის სტუდენტების ჰარმონიული განვითარებისა და სახელოვნებო სივრცეში მათი მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამის კონტაქტებს ამყარებს და ზრუნავს უნივერსიტეტის სტუდენტების ნიჭისა და სურვილის შესაბამისად შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე;

ზ) ასრულებს უნივერსიტეტის აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს და სამსახურის უფროსისა და განყოფილების უფროსის დავალებებს.

3.4. კულტურისა და სპორტის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი:

ა) სტუდენტური სერვისების (შემოქმედებით/კულტურულ/მუსიკალურ/სპორტულ გუნდებში/ჯგუფებში გაწევრიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის) მიღებასთან დაკავშირებით ეწევა სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას;

ბ) მონაწილეობს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის პროცესში;

გ) მონაწილეობს კულტურის/სპორტის სფეროში უნივერსიტეტის საქმიანობის პოპულარიზაციის, საორგანიზაციო და განხორციელების ხელშემწყობ ღონისძიებებში;

დ) ხელს უწყობს საუნივერსიტეტო სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების შექმნის შესახებ სტუდენტთა ინიციატივების რეალიზაციას;

ე) მონაწილეობს შემოქმედებითი უნარის მქონე ან სპორტით დაინტერესებული ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენის პროცესში, ახდენს უნივერსიტეტის სახელით რეგიონალურ და რესპუბლიკურ უნივერსიადებში და სტუდენტურ დღეებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერას/ხელშეწყობას;

ვ) ასრულებს უნივერსიტეტის აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს და სამსახურის უფროსისა და განყოფილების უფროსის დავალებებს.